ხაშურის მოამბე

№29(353) 8 აგვისტო, ორშაბათი, 2022 წელი

- მთავრობის სხდომა -

მეტი კეთილდღეობა თითოეულ მოქალაქეს

2026 წლამდე, ყოველ წელს, მინიმუმ 10%-ით გაიზრდება საჯარო მოხელეების ხელფასები. ჯამში, დაახლოებით, 50%-იანი მატება გამოვა უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, სახელმწიფოს, მაღალი ეკონომიკური ზრდის გამო, დამატებითი შემოსავლები გაუჩნდა და ამიტომ სექტემბერში ბიუჯეტის კორექტირება მოხდება.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ დამატებითი შემოსავლები უფრო მეტი პროექტის დაფინანსების საშუალებას მისცემს მთავრობას.

„ჩვენ, სავარაუდოდ სექტემბრის თვეში მივმართავთ პარლამენტს და მოვახდენთ ბიუჯეტის კორექტირებას. ბიუჯეტი გაიზრდება, ვინაიდან დამატებითი შემოსავლები გაუჩნდა სახელმწიფოს ასეთი მაღალი ეკონომიკური ზრდის გამო და, რა თქმა უნდა, უფრო მეტი თანხები გვექნება გასანაწილებელი უწყებების მიხედვით, უფრო მეტი პროექტი დაფინანსდება. კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო საზოგადოებას, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის შრომითი ანაზღაურება იზრდება. მინდა ასევე, შევახსენო საზოგადოებას, რომ წლების განმავლობაში, დაახლოებით 2017 წლიდან 2020 წლამდე, პრაქტიკულად არც ერთ წელს არ გაზრდილა ხელფასები საჯარო სექტორში, რაც, ვფიქრობ, დიდი შეცდომა იყო. ჩვენ თუ შევადარებთ კერძო სექტორსა და საჯარო სექტორში არსებულ შრომით ანაზღაურებას, ჩამორჩენა არის საგრძნობი და ამას სჭირდება მოწესრიგება. ამიტომ, ჩემი დავალებით, წელს, იანვარში დავიწყეთ ამის მოწესრიგება. იანვარში 10%-ით გაიზარდა ხელფასი ყველა საჯარო მოხელისთვის. ახლა უკვე ფინანსთა მინისტრმა წარმოადგინა ჩვენი ხედვა, განისაზღვრა კრიტერიუმები და დადგენილებით უკვე მოწესრიგდება აღნიშნული საკითხი, რაც გულისხმობს შემდეგს, რომ 2026 წლამდე, ყოველ წელს, მინიმუმ 10%-ით გაიზრდება საჯარო მოხელეების ხელფასები. ჯამში, დაახლოებით, 50%-იანი მატება გამოვა უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში. რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ამ ტენდენციებს, პროცესს, დინამიკას სჭირდება შენარჩუნება, კიდევ უფრო მეტი აქტიურობა გვჭირდება სამინისტროებს, მეტი კარგი ინიციატივები, რომლებსაც ძალიან მალე გავაჟღერებთ და დავიწყებთ სექტემბრიდან. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა სტაბილურობის მნიშვნელობას, რომელიც ჩვენ, ჩვენმა გუნდმა, მთავრობამ, მმართველმა გუნდმა შევინარჩუნეთ ამ რთულ პერიოდში და კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა მოსახლეობას, ჩვენს ხალხს ვუთხრა, რომ ჩვენთან შენარჩუნდება მშვიდობა, სტაბილურობა, მაღალი ეკონომიკური ზრდა, რაც ნიშნავს მეტ კეთილდღეობას ჩვენი მოქალაქეებისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

- შიდა ქართლი -

საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელმა სიმონ გულედანმა საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გამართა. სხდომას შიდა ქართლის რეგიონში შემავალი ოთხივე მუნიციპალიტეტის მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები ესწრებოდნენ. რეგიონის პირველმა პირებმა 2022 წელს რეგიონებში განსახორციელებლი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობა განიხილეს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ამ დროისთვის სამუშაოები შეუფერხებლად მიმდინარეობს. გარდა ამისა, განიხილეს ის დამატებითი პროექტებიც, რომლის განხორციელებაც უახლოეს პერიოდში დაიწყება. როგორც სიმონ გულედანმა აღნიშნა, დამატებითი პროექტების ღირებულება 11 მილიონ ლარს შეადგენს.

შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭო 3 თვეში ერთხელ იკრიბება.

საკრებულოს სხდომა

4 აგვისტოს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომას ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა. სხდომაზე განსახილველად 11 საკითხი იყო წარმოდგენილი.

ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ცვლილებები შევიდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში. ცვლილებები შევიდა აგრეთვე 2022 წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოციალურ-ეკონომიკური პროექტებისნუსხისდამტკიცებისდაპროგრამისგანხორციელებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაში, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესში, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში.

საკრებულომ, აგრეთვე, მოისმინა ანგარიში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2022 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის შესახებ.

საქართველოს მთავრობის დადგენილება

№405 2022 წლის 1 აგვისტო, ქ. თბილისი

სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ

მუხლი 1. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლისა და „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულ;ად გაწვევის მიზნით:

1. მოქალაქეთა 2022 წლის საშემოდგომო გაწვევა განხორციელდეს 2022 წლის 1 აგვისტოდან 2022 წლის 30 დეკემბრამდე.

2. საქარტველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1400-ით.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 539-ით.

4.საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 908-ით.

5.სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოტხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 210-ით.

6. საქართველოს თავდაცვის ძალებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გაწვეულ იქნენ 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში, ამავე მუხლის მე-2 - მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული უწყებების წერილობითი მოთხოვნების შემთხვევაში, სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საშემოდგომო გაწვევის პროცესი შესაბამის უწყებაში შეიძლება შეწყდეს ამავე მუხლის მე-2-მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებამდე.

8. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის (შემდგომში - თბილისის რაიონი) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს (შემდგომში- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტრო) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში (შემდგომში მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეული) რეგისტრაციის/ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში, განსაზღვროს ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებშიც გაიგზავნებიან წვევამდელები დამატებითი სამედიცინო გამოკვლევისთვის.

10. მოქალაქეთა მიერ სამხერო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის /აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს გამწვევი კომისიის მიერ სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

11. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადგილებზე აღმოუჩინოს დახმარება მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა -დევნილთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს იმ წვევამდელთა მოძებნასა და მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა -დევნილთა სამინისტროს გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც არ იძებნებიან ან სავარაუდოდ თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს.

12. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კოორდინაცია გაუწიოს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 აგვისტოდან.

პრემიერ -მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:№84.842221521

თარიღი:03/08/2022

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ მე–20-ე, 21–ე, 22–ე, 23–ე, 24–ე, 25-ე, 28–ე მუხლების,|”სამხედრო სავალდებულო სამსახურის

გადავადების მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 აგვისტოს № 405 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ თანახმად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში

მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად 2022 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში. 1 აგვისტოდან 30 დეკემბრამდე ,საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გეგმა-გრაფიკის შესაბამისად მოხდეს მოქალაქეთა გაწვევა;

2. საქართველოს თავდაცვის ძალებში,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში-სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, გაწვეულ იქნან ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება;

3. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისიის მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში;

4. ეთხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონულ სამმართველოს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 აგვისტოს № 405 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ პირველი მუხლის მე-11- ე პუნქტის შესაბამისად აღმოუჩინოს დახმარება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც არ იძებნებიან ან, სავარაუდოდ, თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს;

5. დამტკიცდეს გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე:

თენგიზ ჩიტიაშვილი – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი;

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ბარბაქაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელი;

კომისიის წევრები:

გიორგი კაპანაძე – შსს ხაშურის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელი;

პავლე გაგნიძე – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი;

ვასილ არჩვაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ვასილ მახარობლიძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

კომისიის მდივანი:

ოლგა სიდიროპულო – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

6. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 აგვისტოს № 405 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები, დადგენილების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში;

(დასასრული III გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტი
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია

(დასასრული)

7. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებიც სარგებლობენ სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გადავადებით საქართველოს კანონის "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" 30-ე მუხლის პირველი პუნქტის "ლ" ქვეპუნქტით (მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში) გათვალისწინებული საფუძვლების გაუქმების შემთხვევაში ვალდებულნი არიან 2022 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში გამოცხადდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში;

8. ბრძანება გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში;

9. ბრძანება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს;

10. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;

11. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის ვადაში.

თენგიზ ჩიტიაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

1 აგვისტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტში, გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, „გენდერული კვირეული" დაიწყო

კვირეულის მიზანია, გენდერული თანასწორობის საკითხებში ხაშურის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისა და მერიას დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება.

მონაწილეებს მიესალმა და კვირეულის თემატიკა დააანონსა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, რომელმაც ხაზი გაუსვა გენდერულ საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის აუცილებლობას და გენდერული თანასწორობის საბჭოს როლს. კვირეული გახსნა მუნიციპალიტეტის მერიის გენდერზე პასუხისმგებელმა პირმა ნინო სუხიაშვილმა თემებით: გენდერული თანასწორობა, გენდერული თანასწორობის ეროვნული

და საერთაშორისო ვალდებულებები, გენდერული მეინსტრიმინგი, გენდერული პოლიტიკის დაგეგმვის და განხორციელების პროცესი.

მოხსენებამ დიდი ინტერესი და მოწონება გამოიწვია დამსწრეთა შორის.

„გენდერული კვირეულის" მეორე დღე, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში იმართება, დაეთმო თემას „კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში".

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, სოციოლოგმა თათია ბროლიძემ, წარმოადგინა სოციალური კვლევის და ანალიზის ინსტიტუტისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის" ფარგლებში ჩატარებული კვლევები და სტატისტიკა. ასევე ისაუბრა დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტისა და მერიას დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები და თანამშრომლები. დამსწრე მამაკაცებში აზრთა სხვადასხვაობა და კამათი გამოიწვია ტრენინგის თემამ.

- მთავარია, რომ კაცებმა დაამსხვრიეს აქამდე არსებული სტერეოტიპი და ასე აქტიურად მიიღეს მონაწილეობა „გენდერულ კვირეულში", რაც უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია. - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა

„გენდერული კვირეულის" მესამე დღე, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში იმართება, დაეთმო თემას „გენდერული ბიუჯეტირება".

პრეზენტაციას წარუძღვა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა ლელა მაჭარაშვილი. მან ისაუბრა საერთაშორისო კონვენციებსა და ეროვნულ კანონმდებლობაზეგენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირებაზე, როგორც კარგი ბიუჯეტირების პოლიტიკაზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები, ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები, ბუღალტრები და იურისტები.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20, 21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28)

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

ვაყის საბჭოში, 2-3 ივლისს, ხელმოწერილი იქნა 27 500 მანეთის სესხი. ვაყის კოლმეურნეობის სტახანოველმა კოლმეურნემ ა. მოსიაშვილმა ხელი მოაწერა 200 მანეთის სესხზე. აბგარ მეზურნიშვილმა 100 მანეთზე.

ელდეპოში სესხზე ხელმოწერა 1 ივლისს საღამოს 7 საათსა და 30 წუთიდან დაიწყო და 11 საათამდე 191 მუშა-მოსამსახურეს 116590 მანეთის სესხზე ჰქონდა ხელი მოწერილი. ელდეპოელთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა ერთი თვისა და უფრო მეტის ხელფასზე.

დეპოს უფროსმა დ. კაკაბაძემ ხელი მოაწერა 1500 მანეთზე, რომლის თვიური ხელფასი 1200 მანეთს შეადგენდა. ოსტატმა ლ. ქვირიამ 1000 მანეთზე (თვიური ხელფასი 800 მანათი), მემანქანე ს. კაკაბაძემ 1500 მანეთზე (თვიური ხელფასი 1200 მ), მემანქანე გ. ჩიტიაშვილმა 1000 მანეთზე (თვიური ხელფასი 750მანათი). 2 ივლისს საღამოს 11 საათზე დამთავრდა ხელმოწერა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 378 მუშა-მოსამსახურემ. სულ ხელმოწერილი იქნა 198 175 მანეთის სესხზე.

1 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ახალი სესხის გამოშვების შესახებ რადიოცნობის მოსმენის შემდეგ, საორთქმავლო დეპოში სახელდახელო მიტინგი გაიმართა სტახანოველმა ი. გაგლოშვილმა, ი. ჩიტაძემ, ნ. ტუროვმა, გ. ტეფნაძემ, ს. ბათიევმა, ლ. ლაბაძემ, გ. გაგნიძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა ქვეყნის სამხედრო და სამეურნეო ძლიერების განმტკიცებისთვის სახელმწიფოს სესხად აძლევდა ერთი თვის ხელფასს.

ოსიაურის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში აგრონომებმა და მუშა-მოსამსახურეებმაც ერთი თვის ხელფასზე მოაწერეს ხელი. 2 ივლისს სულ ხელმოწერილი იქნა 22 000 მანეთის სესხზე. ხელმოწერა წარმატებით გაგრძელდა 3 ივლისსაც. 2-3 ივლისის განმავლობაში ხელმოწერილი იქნა 30 615 მანეთის სესხი. თითო თვის ხელფასზე ხელი მოაწერეს ალექსი და ტერეზა იკოშვილებმა, მძღოლებმა გიორგი ფილიშვილმა და ირაკლი ბითაძემ, 2 ივლისს ბორჯომიდან დეპეშით აცნობეს ადმინისტრაციას, რომ ხელს აწერდნენ თითო თვის ხელფასზე.

ღართის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობდა სესხზე ხელმოწერა. 2-3 ივლისის განმავლობაში საბჭოს კოლმეურნეებმა და კოლმერნე ქალებმა ხელი მოაწერეს 11 ათასი მანეთის სესხზე. კოლმეურნე ედიშერ ხარებაშვილმა დიდი თხილნარიდან ხელმოწერისთანავე მიიტანა ფული. მის თაოსნობას ხელის მომწერთა დიდი ნაწილი შეუერთდა, რის შედეგადაც მთელი საბჭოს აკრეფილი იქნა 4000 მანეთი ნაღდი ფული.

სესხზე ხელმოწერის საზოგადოებრივმა რწმუნებულებმა ედიშერ ქელეხსაშვილმა აკრიფა 2700 მანეთი, ფედრო ბოლოთაევმა 400 მანეთი (პატარა თხილიანა), გიგუცა ტაბატაძემ 300 მანეთი (სარტყელა), რაჟდენ ბეკოშვილმა 350 მანეთი, ედიშერ ხარებაშვილმა 330 მანეთი (პატარა თხილიანა).

შემნახველი სალაროს ცნობით, 7 ივლისისათვის რაიონში ხელმოწერილი იყო 2 462 000 მანეთის სესხი. წინა წელთან შედარებით ხელმოწერილი იყო 760 000 მანეთი, აკრეფილი იყო სესხზე ხელმოწერილი 15 ათასი მანეთი ნაღდი ფული.

სესხზე ხელმოწერილი ჰქონდა 16530 მუშა-მოსამსახურეს და კოლმეურნეს. აქედან 6608 მუშა-მოსამსახურეს ხელი ჰქონდა მოწერილი 2 046 000 მანეთზე, ხოლო 9922 კოლმეურნეს და კოლმეურნე ქალს ხელმოწერილი ჰქონდა 416 000 მანეთის სესხზე.

13 ივლისისთვის რაიონში მუშა-მოსამსახურეთა მიერ ხლმოწერილი იყო 2 124 000 მანეთის სესხზე, ხოლო კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა მიერ 431 000 მანეთი. სულ ხელმოწერა ჰქონდა 17 380 მუშა-მოსამსახურეს და კოლმეურნეს 2 555 000 მანეთის სესხზე. აკრეფილი იყო სესხზე ხელმოწერილი 63 000 მანეთი ნაღდი ფული. აქედან: სურამის საბჭოში – 9 115, ღართის – 8887, ალის – 7670, წაღვლის – 6380, ოსიაურის – 5789, ვაყის – 5306, წრომის – 4284.

16 ივლისისათვის სესხზე ხელმოწერა რაიონში შეადგენდა 2 572 205 მანეთს. ქალაქად ხელმოწერილი იყო 2 137 390 მანეთის სესხზე, ხოლო სოფლად 434 815 მანეთზე შემნახველ სალაროში შესული იყო 81 000 მანეთი ნაღდი ფული.

20 ივლისს დამთავრდა მესამე ხუთწლედის გამოშვების სახელმწიფო სესხზე ხელმოწერა. რაიონში 18716 მუშა-მოსამსახურემ, კოლმეურნემ და დიასახლისმა ხელი მოაწერა 2 580 000 მანეთის სესხზე. ამავე დროს მიმდინარეობდა სესხზე ხელმოწერილი თანხების შეგროვება. 23 ივლისისათვის კოლმეურნეთა და დიასახლისთაგან შეგროვილი იყო 122 000 მანეთი, რაც მათ მიერ ხელმოწერილი თანხის 31,6 პროცენტს შეადგენდა.

სესხზე ხელმოწერილ თანხების შეკრებაში პირველი ადგილი ეჭირა ღართის სასოფლო საბჭოს, სადაც უკვე აკრეფილი იყო სესხზე ხელმოწერილი თანხის 97 პროცენტი. სურამის სადაბო საბჭოში აკრეფილი იყო 64,7%, წაღვლის სასოფლო საბჭოში 52,8%, წრომის სასოფლო საბჭოში 49%.

მესამე ხუთწლედის მესამე წელს გამოშვებულ სახელმწიფო სესხზე ხელმოწერილი იყო სოფლად 435 000 მანეთზე, ქალაქად – 2 145 000 მანეთზე. სულ 2 580 000 მანეთზე, რაც 782 000 მანეთით მეტი იყო წინა წლის ხელმოწერილ თანხაზე. 1939 წელთან შედარებით უკეთესი მაჩვენებელი იყო სესხზე ხელმოწერილი თანხების აკრეფაში. 1939 წლის 1 აგვისტოსთვის აკრეფილი იყო სესხზე ხელმოწერილი 30 000 მანეთი, 1940 კი აკრეფილი იყო 151 000 მანეთი.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1940 წელს სახელმწიფო სესხზე ხელმოწერა მოკლე დროში ჩატარდა.

* * *

40-იანი წლებისათვის ქალაქ ხაშურის კეთილმოწყობისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. გაყვანილი იქნა ახალი გზები. ცვლილება განიცადა კულტურისა და დასვენების ბაღმა, აბანომ. გაიზარდა ელექტრო-ქსელი და მისი მომხმარებლების რიცხვი.

ქალაქის ცენტრში, 1940 წლის სექტემბერში დაიწყო და 1941 წლის იანვარში დამთავრდა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მეორე სართული გათვალისწინებული იყო საცხოვრებელ ბინებად, ხოლო პირველ სართულზე მაღაზიების (დარაბების) განსათავსებლად.

1940 წელს ექსპლუატაციაში შევიდა წყალსადენის 800 კუბ. მეტრი წყლის ტევადობის რეზერვუარი.

მოასფალტდა ლენინის, ბერიას ქუჩები, სადგურის მოედანი – 3300 კვ. მეტრზე, ქვაფენილი დაიგო 1810 კვ. მეტრზე. მოიხრეშა ახალი საუბნო გზები 12000 კვ. მეტრზე. ქალაქში დაირგო 6500 ძირი მწვანე ნარგავი.

ხაშურელები დიდი სამამულო ომის წლებში

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს-დაიწყო დიდი სამამულო ომი. ხაშურელები, ისევე როგორც სხვები, აქტიურად ჩაებნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხოვრების ნებისმიერი სფერო დაექვემდებარა ომის ინტერესებს.

ომის დაწყების დღესვე, საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე, სავაგონო დეპოში გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი. მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ვ.მ. მოლოტოვის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვა.

„საბჭოთა მთავრობა მტკიცე რწმენას გამოთქვამს, - ამბობდა იგი, - რომ ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობა, ყველა მუშა, გლეხი და ინტელიგენცია ჯეროვანი შეგნებით მოეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, თავიანთ შრომას”

მიტინგის მონაწილეებმა დიდი გულისწყრომა გამოთქვეს ფაშისტური გერმანიის მიმართ, რომელმაც დაარღვია საბჭოთა კავშირთან დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულება და მუხანათურად დაესხა თავს მშვიდობიან მოსახლეობას. მ ი ტ ი ნ გ ი მეორე დღეს, 23 ივნისს დილითაც შედგა სავაგონო დეპოში. ახსნითი შეკეთების საამქროს უფროსმა მერკვილიშვილმა აღნიშნა, რომ მისი საამქრო ყოველთვის საუკეთესოდ იმუშავებს, მარტო 23 ივნისის საწარმოო გეგმა შესრულებული იქნება 200 პროცენტით. რეკორდსმენმა ზეინკალმა შარიქაძემ აღნიშნა, რომ ჩვენი ხალხი ფაშისტთა პროვოკაციას ახალი საწარმოო გამარჯვებით უპასუხებს. პირობას ვიძლევი, ამბობდა იგი, ყოველდღიურ გეგმას სისტემატურად შევასრულებ 500 პროცენტით. გეგმების 400 პროცენტით შესრულება იკისრა შემკეთებელმა კილასონიამ. გოგირდწყვილების ოსტატი სულეიმანაშვილი ვალდებულობას კისრულობდა სრულად მოემარაგებინა დეპოს საამქროები, ხოლო მჭედელი გელაშვილი პირობას იძლეოდა, რომ ყოველდღიური გეგმები შესრულდებოდა 500-600 პროცენტით. ადგილობრივ გაზეთში, „ბოლშევიკური სიტყვა”, 26 ივნისს გამოქვეყნდა ხაშურის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის ბრძანება, რომელიც მიზნად ისახავდა 27 ივნისს ქალაქში ჩატარებულიყო საერთო საქალაქო სწავლება თემაზე: „ქალაქის შუქშენიღბვა საჰაერო თავდასხმის მოლოდინში”.

ყველა სამრეწველო საწარმოთა, სავაჭრო, სანახაობათა, სასწავლებელთა და სამკურნალო დაწესებულებათა შენობების კომენდანტებს, სახლმმართველებს და ყველა მოქალაქეს ევალებოდათ, ზუსტად შეესრულებინათ საშიში მდგომარეობის გამოცხადებისას და ქალაქზე საჰაერო თავდასხმის დროს გათვალისწინებული წესები. ენერგომომარაგების ხელმძღვანელებს ევალებოდათ, შუქშენიღბვის ორგანიზებულად ჩატარებისათვის უზრუნველეყოთ რკინიგზისა და ქალაქის მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის შეწყვეტა მოსალოდნელი საჰაერო თავდასხმის დროს.

ქალაქის ქუჩებში ავტობუსები და ავტომანქანები იმუშავებდნენ მხოლოდ იმ პირობით, თუ ექნებოდათ შუქშენიღბვის საიმედო საშუალება.

ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის უფროსს ევალებოდა შუქშენიღბვის წესების დაცვისთვის ედევნებინა თვალყური და შემჩნეული ნაკლის აღმოსაფხვრელად გაეტარებინა საჭირო ღონისძიებები.

რაიმილიციის უფროსს ევალებოდა ზედამხედველობის დაწესება ცალკეულ დაწესებულებათა ხელმძღვანელების, ცალკეულ მოქალაქეთა მიერ შუქშენიღბვის დისციპლინის მოთხოვნილებათა განხორციელებაზე, როგორც ქალაქის ცენტრში, ისე გარეუბნებში.

ეს უკვე რადაცას ნიშნავდა. მანამდე რომ საჭირო არ იყო ქვეყნის, ამ შემთხვევაში ხაშურის მშვიდობიანი ცხოვრების დროს, ასეთი მოთხოვნების დაცვა, დღეს აუცილებლობას წარმოადგენდა.

ხაშური თანდათან გადადიოდა საომარ მდგომარეობაზე.

არაერთმა ხაშურელმა გამოთქვა ფრონტზე გამგზავრების სურვილი. „მე კომკავშირელი ვარ – წერდა ხაშურის მტს-ის ალკკ ორგანიზაციის კომიტეტის მდივანი, დღემდე ჩემს ენერგიას სოციალისტური მინდვრებისა და სოფლის მეურნეობის კეთილდღეობას ვახმარდი, ახლა კი სამშობლო მეძახის, წითელ არმიაში მივდივარ, კომკავშირულ ბილეთს არასდროს არ შევარცხვენ. მტერს განმგმირავი დარტყმით ვუპასუხებ. მილიონობით საბჭოთა პატრიოტი თავისი საყვარელი სამშობლოს, მამისა და მასწავლებლის, მშობელთა ნუგეშისა და იმედის - დიდი სტალინის სასახელოდ და საკეთილდღეოდ დაუღლელად იბრძოლებენ სისხლისმსმელ ფაშისტთა განადგურებისათვის.

ჩვენ, გამარჯვების რწმენით აღსავსენი დაბეჯითებით ვლაპარაკობთ, რომ გავიმარჯვებთ, გერმანელი ფაშისტები განადგურებული იქნებიან”.

ერთმა ნაწილმა სამხედრო კომისარიატს მიაშურა განცხადებებით. ისინი მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ ფრონტზე გაგზავნას ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ერთ-ერთი ვინც ასეთი განცხადებით მიმართა სამხედრო კომისარიატს ახალგაზრდა ქალიშვილი მზია კილასონია იყო.

„საბჭოთა კავშირზე ჰიტლერის ბანდების პროვოკაციული თავდასხმის პასუხად, სიტყვას გაძლევთ, რომ ღირსეულად დავიცავ კომკავშირელის სახელს შეუპოვარი და უშიშარი ვიქნები მტერთან ბრძოლაში, დიდი სტალინისათვის, მზიანი საბჭოთა სამშობლოს დასაცავად.

გთხოვთ მიყოლიოთ თქვენს განკარგულებაში. დამთავრებული მაქვს საჰაერო-ქიმიური თავდაცვის სკოლა, ვარ ინსტრუქტორი”.

განცხადებასთან ერთად, მან კომისარს წარუდგინა საჰაერო-ქიმიური თავდაცვის სკოლის მიერ გაცემული მოწმობა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მ. კილასონიამ სკოლა დაამთავრა წარმატებით და მიენიჭა ინსტრუქტორის კვალიფიკაცია.

განცხადებაში ბაბულია ხარაული მწუხარებით აღნიშნავდა, რომ მას არ ჰქონდა სამხედრო ცოდნა და მაინც მოითხოვდა გაეგზავნათ იქ, „სადაც ჩვენები გერმანელ ფაშისტებს ებრძვიან” და გამოთქვამდა იმედს, რომ იქაც გამოჩნდებოდა მისი შესაფერი საქმე.

ფრონტზე გაგზავნას მოითხოვდნენ: ლუდმილა ცხოვრებაძე, ვერა ჩიტაძე, სიმონ მატვეევი, ანია იარკინა, ანია ნაუმენკო, ანია ვორობიოვა, ელენე გოლუშკო და სხვები.

კომკავშირის რაიკომის მდივანთან გამოცხადდნენ მოსწავლეები: ნინო გიორგის ასული ჯობაძე და თამარ ივანეს ასული ტომაშევიჩი და ფრონტზე გაგზავნა მოითხოვეს. „იქ ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია, თავს არ დავზოგავთ ბრძოლაში დაჭრილი წითელარმიელთა მოსავლელად”- წერდნენ ისინი.

წითელარმიელი კ. გელაშვილი ადგილობრივი გაზეთის ფურცლებზე 3 ივლისს წერდა: „მე წითელარმიელი ვარ, საბჭოთა ლიტვაში ერთგულად ვდარაჯობდი სამშობლოს საზღვრებს. ტაქტიკური მეცადინეობის დროს ფეხი დამიზიანდა. თავს სრულად ჯანმრთელად ვგრძნობ. მოვითხოვ კვლავ დაუყოვნებლივ გამგზავნონ ფრონტზე. ჩვენი ომი სამართლიანია, ჩვენი თავგანწირვა შედეგს გამოიღებს, აუცილებლად გავიმარჯვებთ”.

გაზეთის იმავე ნომერში დავით უროტაძე წერდა: “მდინარე ხალხინელთან აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი იაპონელ თავდამსხმელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, 1939 წლის ოქტომბერში, საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის მადლობა გამომიცხადა პირველი წითელდროშოვანი არმიის უფროსმა.

საბრძოლო გამოცდილება უკვე მიღებული მაქვს, მოვითხოვ ფრონტზე გაგზავნას“.

შემდეგშიც არაერთ ხაშურელ პატრიოტს გამოუთქვამს ფრონტზე წასვლის სურვილი. მათ სურდათ წითელი არმიის მებრძოლთა რიგებში ჩადგომა, რათა თავიაანთი წვლილი შეეტანათ ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში. სამხედრო კომისატიატში განცხადებებით შევიდნენ საორთქლმავლო დეპოს მემანქანე ვასილ გუდაძე და მემანქანის თანაშემწე არჩილ ხანისეული. ექთანი ქეთევან გამგებელი, მედიცინის და ნატა სუთიაშვილი, დიასახლისი თამარ არჯევანიძე. 14-15 წლის ჭაბუკები: კარლო ურთქმელიძე, ვალოდია ნოზაძე, ვლადიმერ ჯობაძე და მრავალი სხვა. ისინი გულწრფელად და ამავე დროს დაჟინებით თხოვდნენ ფრონტზე მოხალისედ გაგზავნას. ფ რ ო ნ ტ ზ ე წასვლას მოითხოვდა საელმავლო დეპოს მუშა, 60 წლის გიორგი კახურაშვილი, რომლის შვილიც წითელ არმიაში მსახურობდა. იგი გულწრფელად აცხადებდა, რომ გაეწვიათ წითელ არმიაში, რათა თავის შვილთან ერთად დაეცვა საბჭოთა სამშობლო.

22 ივნისის შემდეგ ხაშურის წარმოება-დაწესებულებებში საგრძნობლად გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში. ისინი შეგნებით ეკიდებოდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და პირველ შედეგებიც უკვე სახეზე იყო. ყველგან იგრძნობოდა საწარმოო აღმავლობა. სტახანოველები დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს და ეს უკვე, მართლაც, გმირობა იყო.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

კოვიდ -19 კვლავ გვიტევს

მაშინ,როდესაც მსოფლიოს კოვიდთან ორწლიანი ბრძოლა,მოგებული ეგონა, ვირუსი ისევ გააქტიურდა და ჩვენს ირგვლივ, ბევრი ადამიანი ისევ ინფიცირებულია. გაზრდილია დაავადებულთა მაჩვენებელი, როგორც ქვეყნის, ისე მუნიციპალიტეტის მასშტაბით. გარდა ამის, როგორც მოგეხსენებათ, ზაფხულის პერიოდი, ინფექციების, ვირუსების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. დადასტურებულია ყირიმ-კონგოს ჰემარაგიული ცხელების რამდენიმე შემთხვევაც. მუნიციპალიტეტში შექმნილ მდგომარეობაზე,ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი

ჯანდაცვის სამსახურის უფროსი, <u>დავით ჩიქოვანი</u> საუბრობს:

ჩვენს რაიონში, მიუხედავად შედარებით დაბალი მომართვიანობის, ავადობის მაჩვენებელი მაღალია, კვირის განმავლობაში, 100-ზე მეტი შემთხვევა დაგვიდასტურდა, რაც დამეთანხმებით, შემაშფოთებელია, მაშინ, როდესაც თითქმის დარწმუნებულებიც კი ვიყავით, რომ კოვიდ. ვირუსი დამარცხებული გვქონდა. რეკომენდაციები არ შეცვლილა; პირბადე სავალდებულოა სამედიცინო დაწესებულებებში. რაც შეეხება დაავადებულებს, 7 დღიანი თვითიზოლაცია ისევ ძალაში რჩება. იმის გამო,რომ ზაფხულში მოსახლეობის მიგრაცია მაღალია ,მოსალოდნელია შემთხვევების მომატებაც. გაზრდილი მაჩვენებლის მიუხედავად, ვაქცინაცია საგრძნობლად შემცირებულია.

რაც შეეხება ყირიმ-კონგოს ჰემარაგიულ ცხელებას,2022 წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტში სულ 3 შემთხვევაა დაფიქსირებული, აქედან, ბოლო 25 ივლისს-ხაშურში მამაკაცი დაინფიცირდა, რომელიც ამ ეტაპზე გადაყვანილია და მკურნალობს თბილისის ინფექციურ სნეულებათა ცენტრის რეანიმაციის განყოფილებაში. დაავადების სიმპტომები: ცხელება, კუნთების ტკივილი, მუცლის ტკივილი, გულისრევა, ღებინება,



სისხლჩაქცევები კანსა და სხვა ორგანოებში, სისხლდენა ცხვირიდან, ღრძილებიდან, კუჭნაწლავიდან... ინფიცირება ხდება ვირუსის გადამტანი ტკიპის ნაკბენით, ან მისი გასრესით, ასევე დაავადებული ცხოველის სისხლთან კონტაქტით(დაკვლისას ან მშობიარობაში მონაწილეობისას.). პრევენცია: ცხოველებთან ან ტკიპასთან კონტაქტი აუცილებლად ხელთათმანით.. ზემოთ აღნიშნული ჩივილებისას, სასწრაფოდ უნდა მოხდეს პაციენტის სტაციონარში გადაყვანა, დროული დიაგნოსტირების და შემდგომში მკურნალობისათვის.

ფაქტია, ორივე შემთხვევაში, მდგომარეობა საყურადღებოა და რეკომენდაციების დაცვა, აუცილებელია, რათა თავიდან ავირიდოთ ინფიცირებისგან გამოწვეული ლეტალური შედეგები.

იმსჯელეს სურამში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის, დაბა სურამის ცენტრალური ქუჩების მოწყობასთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, საკრებულოს წევრმა ირინე გელაშვილმა და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა გიორგი პაპიაშვილმა სამუშაო შეხვედრა გამართეს.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ- ის მხარდაჭერით და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ჩართულობით, მოხდა სურამის მოსახლეობის საჭიროებების კვლევა, სადაც გამოიკვეთა პრიორიტეტები და სწორედ ცენტრალური გზების მოწყობა დასახელდა უმთავრეს საკითხად.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, გარდა ცენტრალური ქუჩების მოწესრიგებისა, სამომავლოდ, დაბა სურამში, არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება, რაც მნიშვნელოვანი იქნება, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით.

გაეროს ბავშვთა ფონდის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის პარტნიორობით, ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდმა“ მოზარდებისთვის საინფორმაციო კამპანია გამართა

იმუნიზაციისა და საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში, „საქართველოს ახალგაზრდები ვაქცინაციისთვის“, „ჰელფინგ ჰენდის“ წარმომადგენლებმა, ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს, ვაქცინაციის სარგებლობასთან დაკავშირებით, ინფორმაცია მიაწოდეს, თავიანთი წარმატება გაუზიარეს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

პროექტის მიზანი, მოხალისეობის პოპულარიზაცია და პანდემიის პრევენციის შესახებ ცოდნის გავრცელებაა.



ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტული ღირსშესანიშნაობანი. კოდისწყაროს ტბა.

ჯომარდობა მტკვრის ხეობაში

ამ დღეებში, ხაშურის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის „მომავლის სახლის“ ბენეფიციარებმა,მონაწილეობა მიიღეს ჯომარდობისა და მშვილდოსნობის ტურნირში,რომელიც ბორჯომში,სოფელ ჩითახევში გაიმართა.

აფხაზეთის ომის გმირის- გოდერძი ზაქარიას სახელობის ჩემპიონატი,

„ახალგაზრდული მედია კავშირის ორგანიზებით“ მოეწყო და მიზანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალიზაცია იყო.

აღსანიშნავია,რომ ტურნირს ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ლომიძე და ხაშურის მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლები. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულები პროექტში „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“,საკუთარი ძალებიც მოსინჯეს და მონაწილეებს ერთგვარი სტიმული მისცეს.

ჩითახევის ჩემპიონატზე, რვა მუნიციპალიტეტი იყო წარმოდგენილი.

ხაშურის გუნდმა „მგლებმა“ ღირსეულად იასპარეზა და მეორე ადგილის მფლობელიც გახდა.

ტურნირის მხარდამჭერი იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის და სპორტის სამსახური, რომელიც პროგრამით უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას. გარდა ამისა, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებებზე მომუშავე საბჭო, რომელიც აქტიურად ახორციელებს აღნიშნული პირების მხარდაჭერას და ტენდენცია სამომავლოდ გაგრძელდება.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.